ურთიერთთანამშრომლობის

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს შორის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. კასპი /19/ მაისი /2016

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა, წარმოდგენილი გამგებელ გოჩა გოჩიტაშვილის მიერ და შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი", ავტორიზაცია - №23 10.10.2013), წარმოდგენილი იურისტის, ნიკა დუდაშილის მიერ (შემდგომში – მხარეები) თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე, შემდეგი პირობებით:

1. მ ი ზ ა ნ ი

1.1. მხარეების მიზანია საქართველოს შრომის ბაზრის, მათ შორის საჯარო სექტორის სპეციფიკური მოთხოვნების ადეკვატური, ხარისხიანი უმაღლესი იურიდიული განათლების ხელშეწყობა და გაძლიერება.

1.2. მხარეები მიზნად ისახავენ ამ მემორანდუმის ფარგლებში განახორციელონ პროექტები და პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს პრაქტიკაზე ორიენტირებულ პროფესიულ მომზადებას, პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარების გზით მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრების მომზადების პროცესს.

1.3. მხარეები თანხმდებიან, რომ დასახული მიზნების მისაღწევად საჭიროა, ერთი მხრივ, უნივერსიტეტის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, ხოლო, მეორე მხრივ, პოტენციურ დამსაქმებელთა სწავლა/სწავლების პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა.

2. ს ა გ ა ნ ი

ამ მემორანდუმის მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, რომ:

2.1. უნივერსიტეტი სამართლის მიმართულების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/სრულყოფის პროცესში პოტენციური დამსაქმებლის სტატუსით ჩართავს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელს, რომელსაც საშუალება ექნება წარუდგინოს უნივერსიტეტის შესაბამის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს (ფაკულტეტს) რეკომენდაციები და წინადადებები;

2.2. კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა ჩაერთვება სამართლის მიმართულების პირველი და მეორე საფეხურის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის რეალიზაციაში, რომელიც გულისხმობს შესაბამისი საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი სასწალო წლის სტუდენტების პროფესიულ (საწარმოო) პრაქტიკაზე მიღებას, პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვასა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებაში მონაწილეობის მიღებას, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ვადითა და წესით;

2.3. კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა, უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობით რეალიზებად პროექტებში, მათ შორის სტაჟირების პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, უნივერისტეტის სტუდენტთა შერჩევასა და მათ ჩართვას;

2.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ითანამშრომლებენ უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის იურიდიული კლინიკის ფარგლებში შემუშავებულ კლინიკური სწავლების პროგრამებსა და პროექტებში;

2.5. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მისი დაფინანსებით გამოცემული სამეცნიერო და პრაქტიკული ლიტერატურის თითო ეგზემპლარის უსასყიდლოდ გადაცემას კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის;

2.6. მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობაში დასაქმებული მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილების მქონე საჯარო მოხელეთა სასწავლო პროცესში ჩართვა, ურთიერთშეთანხმებული ფორმითა და წესით.

3. მხარეთა უფლებამოვალეობანი

3.1. მემორანდუმით გათვალისწინებული პროგრამების, პროექტებისა და ცალკეული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, გადაწყდება მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების ფორმით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

3.2. უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლისას კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა უფლებამოსილია მიმდინარე სასწავლო წლისათვის დაადგინოს პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების კვოტა, აგრეთვე ჩაატაროს შესარჩევი კონკურსი, საუკეთესო სტუდენტთა გამოსავლენად; პრაქტიკის გავლის უზრუნველსაყოფად, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა გამოყოფს მენტორს, რომელიც ზედამხედველობს პრაქტიკის ობიექტში (კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობაში) სტუდენტის საქმიანობას, უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი პრაქტიკის ხელმძღვანელთან კოორდინირებულად.

3.3. სტაჟირების პროგრამაში უნივერსიტეტის სტუდენტთა ჩართვა ხორციელდება კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დადგენილი წესით; ამ შემთხვევაში კასპის მუნიციპალიტეტი ატყობინებს უნივერისტეტს ასეთი პროგრამის განხორციელების დაწყებისა და პირობების თაობაზე.

4. დასკვნითი დებულებები

4.1. წინამდებარე მემორანდუმის შეცვლა, მოდიფიცირება ან შეწყვეტა ხორციელდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

4.2. წინამდებარე მემორანდუმში სათაურებს აქვს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი და არ ახდენს გავლენას მემორანდუმის განმარტებაზე. თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანის იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე;

4.3. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად;

4.4. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან, მხარეთა მიერ შეწყვეტის მომენტამდე.

მხარეთა რეკვიზიტები

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო

უნივერსიტეტი

ნიკა დუდაშვილი

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო

უნივერსიტეტის იურისტი

მის: ზერი გაბრიელ სალოსის გამზ №53

საქართველო ქ. თბილისი, 0113

ტელ: (+995 32) 2 54 59 08

ელ–ფოსტა: thu-posta@thu.edu.ge

ვებ–გვერდი: thu.edu.ge

კასპის მუნიციპალიტეტის

გამგეობა

გოჩა ბოჩიტაშვილი

კასპის მუნიციპალიტეტის

გამგებელი

მის: მერაბ კოსტავას ქ.N18

საქართველო, ქ. კასპი

ტელ: (0371) 222448

ელ-ფოსტა: kaspismunicilapiteti@gmail.com